



ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-21 08.05.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



მაგისტრანტის (სამაგისტრო ნაშრომის) ხელმძღვანელის  
თანამდებობრივი ინსტრუქცია

ნდ №2-010301-09-10



## შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები .....	3
მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	4
მუხლი 2. ვალდებულებები .....	4
მუხლი 3. უფლებები .....	5
მუხლი 4. პასუხისმგებლობა .....	5
მუხლი 5. დანართები .....	5
მუხლი 6. თანამდებობრივი ინსტრუქციის საჯაროობა/კონფიდენციალურობა .....	5
მუხლი 7. დასკვნითი დებულებები .....	5
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი .....	5

**პრეამბულა**

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამტკიცების აქტით;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ებ)ი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებს და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, თუ ცვლილების შინაარსი არ მოადის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, ბნსუ-ს წესდებასთან, არსებითად არ ცვლის ბნსუ-ს მარეგულირებელი დებულებებით დადგენილ უფლებამოსილებებს;
3. თანამდებობრივი ინსტრუქციაში ცვლილებები მუშავდება ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტრუქციის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს ინსტრუქცია;
4. თანამდებობრივი ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
5. თანამდებობრივი ინსტრუქციის ორიგინალი ინახება ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ელ. ვერსია) და ფაკულტეტის დეკანთან (ელ.ვერსია).

**გავრცელების სფერო**

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია განსაზღვრავს მაგისტრანტის (სამაგისტრო ნაშრომის) ხელმძღვანელის ვალდებულებებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
2. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს მაგისტრანტის (სამაგისტრო ნაშრომის) ხელმძღვანელისთვის.

**ნორმატიული საფუძველები**

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს შრომის კოდექსი;
6. საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ;
7. განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონები: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“; განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტები და სტანდარტები;
8. ISO 9001-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
9. ISO 9000-2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. ლექსიკონი;
10. European Standards and Guidelines (ESG-2015);
11. ნდ №2-010101 - ბნსუ-ის წესდება;
12. ნდ №2-030101 - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება;
13. ნდ №2-010102 - ბნსუ-ის შინაგანაწესი;
14. ნდ №2-020101 - ბნსუ-ის ხარისხის სახელმძღვანელო;
15. ნდ №2-020101-01 - დოკუმენტების მართვის პროცედურა.

**ძირითადი განმარტებები და შემოკლებები**

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

დოკუმენტის ორიგინალი - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია დოკუმენტის ხელმოწერის უფლებამოსილი პირის ორიგინალი ხელწერა;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით; თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უზანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

ESG - European Standards and Guidelines;

ENQA - European Network for Quality Assurance;

ხს - ხარისხის სისტემა;

ნდ - ნორმატიული დოკუმენტი;

შნდ - შიდა ნორმატიული დოკუმენტი;

გნდ - გარე ნორმატიული დოკუმენტი.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. მაგისტრანტის (სამაგისტრო ნაშრომის) ხელმძღვანელის (შემდგომში - ნაშრომის ხელმძღვანელი) უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი. ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება ზნსუ-ს აკადემიური პერსონალის (გარდა ასისტენტისა) წარმომადგენელი ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი;
2. სამაგისტრო ნაშრომს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი - დარგის სპეციალისტი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი);
3. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი აცხადებს თანხმობას მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე (თანხმობა უნდა გაფორმდეს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“ დადგენილი ფორმით);
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის განსაზღვრის წესი: სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სემესტრის დაწყებამდე ფაკულტეტის საბჭო განიხილავს და ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომების (როგორც ფაკულტეტის, ისე მაგისტრანტების მიერ ინიცირებულ) თემებს და, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების კანდიდატურებს, მაგისტრანტი ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემას (შესაბამისად, ხელმძღვანელს) და განცხადებით ამის შესახებ მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. მაგისტრანტს უფლება აქვს შეცვალოს მის მიერ არჩეული სამაგისტრო ნაშრომის თემა ან უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე, ამ შემთხვევაში მან არ უმეტესობითი წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. მაგისტრანტის განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას ეძლევა ახალი ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
5. ნაშრომის ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ზნსუ-ს შინაგანაწესით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი/მეთოდოლოგიური დოკუმენტებით, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით და წინამდებარე ინსტრუქციით;
6. ნაშრომის ხელმძღვანელი ესწრება საჯარო დაცვას, თანახელმძღვანელის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო. საჯარო დაცვის კომისიას და მაგისტრანტს შეუძლიათ მისი მოწვევა, ნაშრომის თანახელმძღვანელს შეუძლია მოითხოვოს საჯარო დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა;
7. მაგისტრანტის ხელმძღვანელის საქმიანობა ექვემდებარება შესწავლას და შეფასებას. ზნსუ-ში მოქმედი წესების თანახმად, მაგისტრანტის ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასებისთვის მხედველობაში მიიღება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების მიზნით დაგეგმილი კვლევის დადგენილ ვადაში შესრულება, ხელმძღვანელის ხელშეწყობით მაგისტრანტის სამეცნიერო მიღწევები, მაგისტრანტის მიერ ხელმძღვანელის საქმიანობის შეფასება და სხვ. მაგისტრანტების ხელმძღვანელის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა და მათი ხარისხი (სამაგისტრო ნაშრომების შეფასებები). მაგისტრანტის ხელმძღვანელის შემაჯამებელი შეფასება მრავალკომპონენტანია და მოიცავს სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით მიღებული შეფასებების ჯამს. მიღებული შეფასება განიხილება ინდივიდუალურად და შეიძლება გამოიხატებოდეს რეკომენდაციების ფორმით და/ან ქულობრივი ექვივალენტით.

შეფასების კომპონენტი	შეფასების სისტემა და კრიტერიუმები
კვლევის დადგენილ ვადაში შესრულება	არსებობის შემთხვევაში „+1“ ქულა
ხელმძღვანელის ხელშეწყობით მაგისტრანტის სამეცნიერო მიღწევები	დადებითი შეფასების შემთხვევაში „+1“ ქულა / უარყოფითი შეფასების შემთხვევაში „-1“ ქულა
პროგრამის შიდა შეფასების შედეგები	დადებითი შეფასების შემთხვევაში „+1“ ქულა / უარყოფითი შეფასების შემთხვევაში „-1“ ქულა
დაცული სამაგისტრო ნაშრომების რაოდენობა და მათი ხარისხი (სამაგისტრო ნაშრომების შეფასებები).	არანაკლებ 51%-ის შემთხვევაში „+1“ ქულა / 50%-ზე ნაკლების შემთხვევაში „-1“ ქულა

7. ნაშრომის ხელმძღვანელი თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ზნსუ-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;
8. ნაშრომის ხელმძღვანელი ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს და ანგარიშვალდებულია მათთან;
9. ნაშრომის ხელმძღვანელი ასრულებს წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულ და სხვა საქმიანობას, რომელიც გამომდინარეობს/დაკავშირებულია მის ძირითად ამოცანებთან და ფუნქციებთან.

**მუხლი 2. ვალდებულებები**

1. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია:
  1. იცოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, ზნსუ-ში მოქმედი შინაგანაწესის, ზნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი დებულებების/წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქვეყის წესების, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების წესის, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის და წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნები და უზრუნველყოს მათი შესრულება;
  2. განუმარტოს მაგისტრანტს ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები, მათი დაცვის აუცილებლობა და დარღვევებისთვის დადგენილი სანქციები, მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი და ფორმალური მხარეებისადმი და სხვ.;
  3. დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გამოთქვას შენიშვნები, დაეხმაროს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში და სხვ.;
  4. ნაშრომის შესრულების პროცესში ხელი შეუწყოს მაგისტრანტის თანამშრომლობას დარგობრივ ორგანიზაციებთან/დარგის სპეციალისტებთან;



- შეამოწმოს და მაგისტრანტთან ერთად განიხილოს კითხვარები, ანკეტები და სხვ., რომელთა გამოყენებას გეგმავს მაგისტრანტი კვლევის პროცესში, და დაადგინოს მათი გამოყენების შესაძლებლობა (ეთიკურობა, კანონმდებლობის ნორმებთან შესაბამისობა და ა.შ.), საჭიროების შემთხვევაში გაიაროს კონსულტირება პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და/ან ბნსუ-ს იურისტთან;
- გაუწიოს მაგისტრანტს რეგულაციური რაოდენობის და შინაარსის კონსულტაციები;
- პერიოდულად კონტროლი გაუწიოს მაგისტრანტის საქმიანობას და ნაშრომის მომზადების პეროცესს, ეტაპობრივად განიხილოს მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაო;
- მაგისტრანტის ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/ხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის მიზნით. ნაშრომში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში მოახდინოს ხარვეზების სრულფასოვანი ანალიზი, კონსულტაციებით და რჩევებით დაეხმაროს მაგისტრანტს მათ აღმოფხვრაში, უზრუნველყოს ნაშრომის განმეორებით შემოწმება;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დროულად მოახდინოს დარღვევებზე რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს;
- მოახდინოს მაგისტრანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი განხილვა-ანალიზი;
- მოამზადოს და დადგენილ ვადაში წარადგინოს დასკვნა, რომელიც ფორმალურად და შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით დადგენილ მოთხოვნებს (მათ შორის, უნდა მოიცავდეს რეკომენდაციას რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემაზე და ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების ან რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემაზე და ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებაზე უარის თქმის შესახებ). ნაშრომის თანახმდგენელის არსებობის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული მისი დასაბუთებული პოზიცია (მოსაზრებები სამაგისტრო ნაშრომის, ნაშრომის რეცენზენტისთვის გადაცემისა და საჯარო დაცვაზე დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ);
- ხელი შეუწყოს დადგენილ ვადაში რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემას და მაგისტრანტთან ერთად განიხილოს რეცენზენტის დასკვნაში მოცემული ინფორმაცია და მიღებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი;
- მაგისტრანტთან ერთად განიხილოს საჯარო დაცვაზე წარსადგენი ნაშრომის პრეზენტაცია, კონსულტაციებით და რჩევებით დაეხმაროს მაგისტრანტს ხარვეზების აღმოფხვრაში;
- თუ ნაშრომის შესრულებისთვის დადგენილ (სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებულ) ვადაში მაგისტრანტი ვერ ამთავრებს კვლევას/ნაშრომის მომზადებაზე მუშაობას, მაშინ ნაშრომის ხელმძღვანელმა ეს საკითხი უნდა განიხილოს მაგისტრანტთან ერთად და მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს არგუმენტირებული რეკომენდაციით მომდევნო სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის დასრულების, შესაბამისად - ნაშრომის შეფასების) თაობაზე;
- უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის (მათ შორის, მითითებული გეგმის) და „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესის“ მოთხოვნების შესრულება;
- უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის/ინფორმაციის მომზადება, ანალიზი, სხვ., რაზეც პასუხისმგებელია სამსახურებრივი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე;
- რექტორის/ფაკულტეტის დეკანის/აკადემიური საბჭოს/ფაკულტეტის საბჭოს/პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნისთანავე მოამზადოს და წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, ანგარიში, განმარტებითი/სამსახურებრივი ბარათი, სხვ.;
- კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა ბნსუ ხარისხის შიდა და გარე შემოწმებისათვის მომზადების პროცესში;
- პირადად შეასრულოს წინამდებარე ინსტრუქციით დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე.

### მუხლი 3. უფლებები

- ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უფლება აქვს:
  - უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე როგორც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ახალი სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.
  - მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში, ღონისძიებებში, პროექტებში, სხვ.;
  - გაეცნოს ბნსუ-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებების პროექტებს, რომლებიც ეხება მის საქმიანობას;
  - წარუდგინოს ფაკულტეტის დეკანს და პროგრამის ხელმძღვანელს წინადადებები მის ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის;
  - მოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა მისი მოვალეობების და/ან სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად;
  - გამოთქვას მოსაზრებები და შეიმუშაოს წინადადებები საგანმანათლებლო პროგრამასთან, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებასთან, მაგისტრანტების ხელშეწყობასთან და სხვ. დაკავშირებით;
  - დაკავდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობით;
  - შეაფასოს ბნსუ-ში არსებული მდგომარეობა, შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები/წინადადებები;
  - შეიმუშაოს რეკომენდაციები დარგობრივ დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და სხვ. თაობაზე;
  - მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხების განხილვაში, შეიმუშაოს რეკომენდაციები პროგრამისა და კვლევითი პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების მიზნით;
  - მოითხოვოს შრომის სათანადო პირობების შექმნა, თავისი საქმიანობის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ასევე დახმარების გაწევა მისი თანამდებობრივი მოვალეობების და უფლებების შესრულებაში;
  - განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

### მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ნდ №2-010301-09-10	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება № 01-21 08.05.2023	5-5
--------------------	-----------	--	-----



1. ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და/ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;
2. ნაშრომის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:
  1. დაკისრებული მოვალეობების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე;
  2. შრომითი დისციპლინის, შრომის შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის დაცვაზე;
  3. თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში კანონიერების დაცვაზე;
  4. არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

**მუხლი 5. დანართები**

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის დანართები (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს თანამდებობრივი ინსტრუქციის განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 6. თანამდებობრივი ინსტრუქციის საჯაროობა/კონფიდენციალურობა**

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქცია, ასევე არსებობის შემთხვევაში - მისი დანართები და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ფორმები, საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი, ბნსუ-ში სხვა დასაქმებული პირები, ბნსუ-ს სწავლის სუბიექტები უფლებამოსილი არიან გაეცნონ წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციას, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 7. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციის ძალაში შესვლამდე მოქმედი ინსტრუქციები/დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე თანამდებობრივი ინსტრუქციით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში მუხლებს წანამდგრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება თანამდებობრივი ინსტრუქციის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქციაში, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ს წესდებით;
7. წინამდებარე თანამდებობრივ ინსტრუქცია ძალას კარგავს ახალი თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შემთხვევაში.



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი